

პროგრამის დასახელება: ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია).

მიმართულება: ქართული ფილოლოგია

ფაკულტეტი: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სწავლების ენა: ქართული

დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

მიღების ტიპი: ინდივიდუალური მიღება

პროგრამის შესახებ:

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებების პროგრამის ქართული ფილოლოგიის მიმართლება სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, გაეცნოს მშობლიური ენის ისტორიულ და კულტურულ კონტექსტს, რომელსაც ეფექტურად გამოიყენებს სამეცნიერო ინფორმაციის განზოგადებისა და ანალიზის დროს ახალი ფილოლოგიური ცოდნის შექმნის მიზნით.

ამასთან პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაოდენობრივი მსჯელობისა და კრიტიკული ანალიზის, აგრეთვე გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც ექნება ფართო თეორიული ცოდნა ქართული ენის, ენათმეცნიერების საფუძვლების, პრინციპებისა და ძირითადი თეორიების, ქართული ლიტერატურის, ზოგადად, ლიტერატურული პროცესებისა და ტენდენციების შესახებ.

სწავლის ძირითადი მიმართულებები:

ქართული ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი მიმართულებებია:

ენათმეცნიერების მიმართულება, რომელიც მოიცავს ქართული ენათმეცნიერების შესწავლას ზოგად კონტექსტში, მორფოლოგიას, სინტაქსს, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის საკითხებს, კომპიუტერულ ენათმეცნიერებასა და მეგრული, ლაზური და სვანური ენების ლინგვისტური საკითხების განხილვას.

ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულება, რომელიც მოიცავს ლიტერატურის თეორიებსა და ანალიზს. ქართული ლიტერატურის შემდეგ ეპოქებს: ძველი ქართული ლიტერატურა, შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურა, ახალი და უახლესი, თანამედროვე ქართული ლიტერატურა და მათი განხილვა საერთაშორისო ლიტერატურის კონტექსტში.

პროგრამის კურსდამთავრებული წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების მიხედვით შეძლებს კვლევითი და/ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულებას, მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციასა და ეფექტურ პრეზენტაციას.

სწავლის შედეგები:

ქართული ფილოლოგიის მიმართულების პროგრამის კურსდამთავრებულს ეცოდინება :

- ენათმეცნიერების საფუძვლები, პრინციპები და ძირითადი თეორიები;
- ქართული ენის მორფოლოგიის, სინტაქსისა და წინადადების მორფოლოგიურ-სინტაქსური აგებულება;
- ენობრივი ფორმების მნიშვნელობა (სემანტიკა) და გამოყენება (პრაგმატიკა);
- ენის განვითარების ისტორია;
- შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში – ენის სწავლებასთან და ლინგვისტური მასალის მოგროვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამები;
- ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები და პრინციპები;
- ძირითადი ლიტერატურისმცოდნეობითი თეორიები;
- ქართულენოვანი ლიტერატურის თეორია;
- ქართული კულტურული, ნაციონალური კონტექსტი;
- ტექსტების ტიპებისა და ენობრივი ვარიაციების განსაზღვრა;
- ენობრივი წარმონაქმნებისა (ტექსტი, დისკურსი) და ლექსიკური ერთეულების (ლექსიკა) ლინგვისტური ანალიზი;
- ტექსტის რედაქტირება;
- ლინგვისტური მონაცემების მოგროვება და დამუშავება სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენებით – შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში;
- აუდიოჩანაწერების შექმნა და ელემენტარულ დონეზე ანოტირება – შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში;
- ელემენტარული ენობრივი კორპუსის შექმნა – შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში;
- ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიისადმი კრიტიკული, თვითრეფლექსიური მიდგომა;
- გამართული ფორმის, მკაფიო ლოგიკის, დამაჯერებელი და არსებითი აკადემიური ნაშრომის შექმნა საბაზისო დონეზე.

სწავლის მეთოდები:

სწავლის მეთოდები მოიცავს ვერბალური და პრაქტიკული უნარების განვითარებას, ელექტრონული სწავლების ელემენტებს, დემონსტრირების მეთოდს, დისკუსია / დებატებში ჩართულობას, შემთხვევის ანალიზს, გონებრივ იერიშსა და ჯგუფურ მუშაობას.

დასაქმების შესაძლებლობები:

- საჯარო სექტორი: საგარეო საქმეთა სამინისტრო, კულტურის სამინისტრო
- კერძო სექტორი
- არასამთავრობო სექტორი
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობები
- მასობრივი მედია და ჟურნალისტიკა: ქართული და გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიო და ახალი მედიები
- გალერეები, მუზეუმები, ხელოვნების აუქციონები
- საარქივო, საბიბლიოთეკო სფერო

სასწავლო პროგრამის სტრუქტურა:

სტუდენტმა ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.

<u>მოდულის სახელწოდება</u>	<u>ECTS კრედიტი</u>
საუნივერსიტეტო საბაზო მოდული	60
ძირითადი (major) პროგრამა	120
მეორე (minor) პროგრამა ან თავისუფალი კრედიტები (არჩევითი კურსები)	60

მიღების პროცედურები და ჩასაბარებელი გამოცდები:

თუ გსურს ისწავლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის პროგრამაზე, [შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე](#) აირჩიე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების ბლოკი (ინდივიდუალური მიღება) კოდით 0100107 და ჩააბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები.

უნივერსიტეტში სწავლის მეორე სემესტრში ბლოკით გათვალისწინებულ აკადემიურ პროგრამებს შორის გეგნება არჩევანის შესაძლებლობა და, სურვილის შემთხვევაში, აირჩევ ჰუმანიტარული მეცნიერებების ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი გამოცდები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ჩასაბარებელი გამოცდები	წონა	რაოდენობა
ქართული ენა და ლიტერატურა		
უცხოური ენა (გერმ., ინგლ., რუს., ფრანგ.)		
ისტორია/ლიტერატურა		

საკონტაქტო ინფორმაცია

➡ ი. ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახები: A 201, A 302

☎ (+995 32) 222 00 09 (200)

✉ elene.kikalishvili@iliauni.edu.ge

✉ keti_jabakhidze@iliauni.edu.ge